EUROPEAN KINDERGARTEN
ევროპული საბავშვო ბაღი

2026-2027

გზამკვლევი

ევროპული საბავშვო ბაღი

თბილისი - კოჯრის ქუჩა 2

(+995) 32 239 59 64

Kindergarten@europeanschool.ge

სარჩევი

1. ევროპული საბავშვო ბაღის მისია და ღირებულებები 3
2. ზოგადი ინფორმაცია 4
3. მიღების და ჩარიცხვის პოლიტიკა 5
4. საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა 6
5. დღის განრიგი 9
6. ქცევის და დისციპლინის პოლიტიკა 10
7. სპეციალური საჭიროებები და ინკლუზია 10
8. კომუნიკაცია და მშობლების ჩართულობა 11
9. ბავშვთა კეთილდღეობა 11
10. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა 12
11. კვება და კვების პოლიტიკა 14
12. საგანგებო სიტუაციების პროცედურები 15
13. ჩაცმულობის კოდექსი და პირადი ნივთები 16
14. ბავშვის მოყვანისა და წაყვანის პროცედურები 17
15. დასკვნითი სიტყვა 18

1.მისია და ღირებულებები

ჩვენი მისია

„ევროპული საბავშვო ბაღი" ბავშვებს სთავაზობს გამორჩეულ სკოლამდელ განათლებას მზრუნველ და განმავითარებელ გარემოში, სადაც თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს თავისი პოტენციალი, განვითარდეს შემოქმედებითი აღმოჩენებით, გაიზარდოს პიროვნულად და გახდეს, პასუხისმგებლობის მქონე გლობალური მოქალაქე."

ჩვენი ხედვა

ჩვენი მისწრაფებაა, ვიყოთ ტრანსფორმაციული განათლების ნიმუში და შევიტანოთ წვლილი მომავლის განათლების ფორმირებაში. ჩვენი ხედვის ქვაკუთხედია რწმენა იმისა, რომ განათლება არის ცვლილებების მამოძრავებელი ძალა. ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომით, შთავაგონებთ ჩვენს მოსწავლეებს, იმოქმედონ უფრო ინკლუზიური და მდგრადი სამყაროს შექმნის სულისკვეთებით.

ჩვენი ღირებულებები

ჩვენი, ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო განათლება, ეყრდნობა იმ ძირეულ ფასეულობებს, რომლებიც შერწყმულია "ევროპული სკოლის" ყველა აკადემიურ თუ კლასგარეშე ღონისძიებასთან. ჩვენთვის პრიორიტეტულია ის ოთხი ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც ჩვენი საქმიანობის საფუძველია, კერძოდ:

- ***ინოვაციის გზით სვლა;***
- ***სწრაფვა სრულყოფილებისკენ;***
- ***განვითარება სწავლის საშუალებით;***
- ***გლობალური მოქალაქეობა.***

2. ზოგადი ინფორმაცია

სამუშაო საათები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, **09:00- 18:00** საათამდე.

დაგვიანების პოლიტიკა:
მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ბაღში მოყვანის მკაცრი გრაფიკი არ გვაქვს, **ჩვენი რეკომენდაციაა,** ბავშვი დილით **9:00** საათისთვის მოიყვანოთ. ეს დრო განისაზღვრა იმისთვის, რომ ბავშვმა სრულად მიიღოს მონაწილეობა ბაღის დღის განრიგით გათვალისწინებულ ყველა აქტივობაში და ისარგებლოს, როგორც საგანმანათლებლო, ასევე დღის განრიგის სხვა კომპონენტებით.

კალენდარი
აკადემიური წელი 2026/2027 იწყება 17 სექტემბერს და გაგრძელდება 30 ივნისის ჩათვლით.
აკადემიური წელი იყოფა 2 სემესტრად:
I სემესტრი-17/09/2026-29/12/2026, II სემესტრი -15/01/2027-30/06/2027
აკადემიურ კალენდარში წითელი ფერით აღნიშნულია საყოველთაო დასვენების დღეები, ხოლო ლურჯი ფერით -ბაღის უქმე დღეები.

ევროპული საბავშვო ბაღი

2026-2027

აკადემიური კალენდარი

სექტემბერი 2026						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

ოქტომბერი 2026						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

ნოემბერი 2026						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

დეკემბერი 2026						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

იანვარი 2027						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

თებერვალი 2027						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28						

მარტი 2027						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აპრილი 2027						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

მაისი 2027						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ივნისი 2027						
Su	Mo	Tu	We	Th	Fr	Sa
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

საყოველთაო უქმე დღეები

14 ოქტომბერი	მცხეთობა (სვეტიცხოვლობა)
23 ნოემბერი	გიორგობა
1 და 2 იანვარი	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
7 იანვარი	ქრისტეს შობა
19 იანვარი	ნათლისღება
3 მარტი	დედის დღე
8 მარტი	ქალთა საერთაშორისო დღე
9 აპრილი	საქართველოს ეროვნული ერთიანობის დღე
29-30 აპრილი, 1-2-3 მაისი	სააღდგომო დღეები
9 მაისი	გამარჯვების დღე
12 მაისი	წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე
17 მაისი	ოჯახის სიწმინდის დღე
26 მაისი	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ბაღის არდადაგები

ზამთრის:	30.12.2026-17.01.2027
საგაზაფხულო:	03.03.2027- 08.03.2027

3. მიღების და ჩარიცხვის პოლიტიკა



რეგისტრაციისთვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა შეავსოს ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე

www.europeanschool.ge

ttps://es.openapply.com

ჩარიცხვის პროცესი და საჭირო დოკუმენტაცია:

1. **მოსწავლის დაბადების მოწმობის სანოტარიო წესით დამოწმებული ასლი;**
2. **მოსწავლის პირადობის მოწმობა, ან პასპორტის ასლი;**
3. **მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;**
4. **მოსწავლის ჯანმრთელობის ცნობა / ფორმა N 100**
5. **მოსწავლის ფოტო 3X4**

სააპლიკაციო ფორმის შევსებისას მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი ერთჯერადად იხდის რეგისტრაციის საფასურს – 100 ევროს ეკვივალენტს ლარში, როგორც ქართული, ისე ინგლისური სექტორისთვის.

ასაკობრივი ჯგუფები:

- **3-დან 5 წლამდე**
- **5-დან 6 წლამდე**

დაწესებულებაში კურუკულუმიდან გამომდინარე სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ჯგუფური მოწყობის პრინციპით, ამიტომ თითოეულ ჯგუფს გამოყოფილი აქვს ინდივიდუალური ჯგუფური ოთახი, საერთო სასადილო სივრცე, სპორტული დარბაზი, ხელოვნების სტუდია და ეზო.

ბაღის პროგრამა ითვალისწინებს **3-დან 5 წლამდე ბაშვების ძილს**. შესაბამისად ამ ასაკობრივ ჯგუფებს აქვთ საძინებელი ოთახები.

4. საგანმანათლებლო პროგრამის მიმოხილვა

კურიკულუმი

საბავშვო ბაღის კურიკულუმის საფუძვლად ითვლება ოთხი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი:

1. **ვთამაშობთ:** თამაში როგორც სწავლების ძირითადი მეთოდი, რომელიც აერთიანებს ბავშვების კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.
2. **ვქმნით:** შემოქმედებითი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს იდეების გენერირებას და დამოუკიდებლობის განვითარებას.
3. **აღმოვაჩენთ:** კვლევაზე და ცნობისმოყვარეობაზე დაფუძნებული აქტივობები, რომლებიც ბავშვს ეხმარება სამყაროს შეცნობაში.
4. **ვსწავლობთ:** ცოდნის მიღებისა და გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენების პროცესი.


ბავშვზე ორიენტირებულობა
თამაში - სწავლის ძირითადი მეთოდი
ინფორმირებულობა
ინფორმაციული საგანმანათლებლო გეგმა და ფასილიტაციური მიდგომა
ინდივიდუალური
ინდივიდუალური
ინდივიდუალური

კურიკულუმის მიზნები სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს:

- **ურთიერთობა და ემოციური განვითარება**
- **აღმოჩენა და შემოქმედება**
- **გლობალური ცნობიერება**

აღნიშნული მიზნები შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრულ ბავშვის განვითარების სფეროებს და თემატურ მიმართულებებს.

ურთიერთობა და ემოციური განვითარება

- გუნდური მუშაობა: ბავშვების ჩართულობა კოლაბორაციულ და სოციალურ აქტივობებში.
- ურთიერთპატივისცემა და ემპათია: თანაგრძნობისა და ზრუნვის უნარების განვითარება.
- თამაშის მეშვეობით სწავლება: სოციალური უნარების და კომუნიკაციის გაძლიერება.

აღმოჩენა და შემოქმედება

- ცნობისმოყვარეობის გაღვივება: ექსპერიმენტების, პროექტების და შემოქმედებითი აქტივობების საშუალებით.
- მრავალმხრივი განვითარება: ხელოვნების, მეცნიერების, წიგნიერებისა და სხვა სფეროების კვლევა და აღმოჩენა.
- პრობლემის გადაჭრა: ბავშვებს საშუალება აქვთ დასვან კითხვები, დაგეგმონ, შეაგროვონ ინფორმაცია და გააკეთონ დასკვნები.

გლობალური ცნობიერება

- თანასწორობა და მრავალფეროვნება: ბავშვებში პატივისცემისა და ტოლერანტობის განვითარება განსხვავებული კულტურებისა და ტრადიციების მიმართ.
- ციფრული უნარების განვითარება: თანამედროვე ტექნოლოგიებთან მუშაობის და უსაფრთხო ციფრული ქცევის ძირითადი პრინციპების სწავლება.
- ეკოლოგიური ცნობიერება: ბუნების დაცვაზე ზრუნვის მნიშვნელობის გაცნობა.

ეკო-ცნობიერება და მწვანე აქტივობები: ჩვენი სასწავლო პროგრამა დიდწილად ეზოსა და ღია სივრცეში ინაცვლებს. ბავშვები აქტიურად არიან ჩართულები მებაღეობაში — ისინი თავად რგავენ, უვლიან მცენარეებს, აკვირდებიან მათ ზრდას და სწავლობენ ბუნებრივ ციკლებს. ეს უვითარებს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას, მზრუნველობასა და ეკოლოგიურ კულტურას.

STEAM განათლება საბავშვო ბაღში

ჩვენი საბავშვო ბაღი გთავაზობთ STEAM განათლებას, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიას, ხელოვნებასა და მათემატიკას. ჩვენი პროგრამა ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას, თამაშისა და პრაქტიკული აქტივობების საშუალებით იკვლიონ სამყარო, განივითარონ კრეატიული და კრიტიკული აზროვნება და შეიძინონ პრობლემის გადაჭრის უნარი.

STEAM სწავლება ხელს უწყობს ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას და უნარს შექმნან, აღმოაჩინონ და გამოიყენონ ახალი ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენი ინტერაქტიული და ინოვაციური მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო გარემოს, სადაც ბავშვები მოსინჯავენ, შეისწავლიან და შექმნიან.

ჩვენი STEAM პროექტების დიდი ნაწილი „მწვანე ლაბორატორიის“ პრინციპით ხორციელდება. ბავშვები ბუნებრივ გარემოში ატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს, იკვლევენ ნიადაგს, მცენარეებსა და ეკოსისტემას.

ტექნოლოგიების გამოყენება საბავშვო ბაღში ლიმიტირებულია და მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება, დღეში არაუმეტეს 20-30 წუთისა.

დამატებითი განმავითარებელი აქტივობები საბავშვო ბაღის კურიკულუმში

დამატებითი განმავითარებელი აქტივობები წარმოადგენს საბავშვო ბაღის კურიკულუმის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ემსახურება ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას. ეს აქტივობები ორიენტირებულია ბავშვთა კოგნიტური, შემეცნებითი, ფიზიკური და შემოქმედებითი უნარების გაძლიერებაზე. მათი დაგეგმვა და განხორციელება ხდება მშობელთან შეთანხმებით, ბავშვების ასაკობრივი, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

დამატებითი აქტივობებია:

- ვიზუალური ხელოვნება
- მუსიკა
- ცეკვა, ბალეტი
- ჭადრაკი
- LEGO რობოტიქსი
- ფეხბურთი, კარატე
- ინგლისური ენა

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გადანაწილება

- ყველა ასაკობრივი ჯგუფი: **ხელოვნება, ცეკვა, მუსიკა, სპორტი**
- 5-6 წლიანები: **ჭადრაკი, LEGO**
- 3-5 წლიანები: **ჭადრაკი**

ვიზუალური ხელოვნება

- შემოქმედებითი უნარების გაძლიერება.
- ფერებისა და ფორმების აღქმის გაუმჯობესება.
- სხვადასხვა ტექნიკით ხელოვნების ნიმუშების შექმნა.

მუსიკა

- ბგერების და რიტმის აღქმის გაუმჯობესება.
- სიმღერებისა და მელოდიების მეშვეობით მეხსიერებისა და ენების სწავლების ხელშეწყობა.
- მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება და მათი შესწავლა.

ცეკვა

სხეულის კონტროლის, კოორდინაციისა და რიტმის განვითარება.

- სხვადასხვა კულტურის ცეკვების გაცნობა და სწავლის პროცესში ჩართვა.
- ჯგუფური ცეკვების საშუალებით სოციალური უნარების გაძლიერება.

ჭადრაკი

- აზროვნების მოქნილობის და გრძელვადიანი დაგეგმვის უნარების განვითარება.
- მოთმინებისა და საკუთარი ქცევის კონტროლის გაძლიერება.
- გუნდური თამაშების ორგანიზება, რაც სოციალური უნარების გაღრმავებას უწყობს ხელს.
- მარტივი სტრატეგიული თამაშების სწავლება და პრაქტიკა.

LEGO

- ინჟინერიის და კონსტრუქციის საწყისი პრინციპების სწავლება.
- გუნდური პროექტების მეშვეობით კომუნიკაციისა და კოლაბორაციის უნარების გაძლიერება.
- ფანტაზიისა და შემოქმედებითი მიდგომის სტიმულირება.
- თემატური პროექტების შექმნა (მაგ., "შენობების აგება" ან "ცხოველების მოდელირება").

სპორტი

- ფიზიკური გამძლეობის, კოორდინაციისა და სენსორული უნარების გაუმჯობესება.
- გუნდურობისა და დისციპლინის განვითარება.
- მარტივი ვარჯიშები, რომლებიც ბავშვების კუნთოვანი ტონუსის განვითარებას და ფიზიკურ გამძლეობას უწყობს ხელს.
- თამაშებზე ორიენტირებული ვარჯიშები, რომლებიც სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარს აძლიერებს.
- სოციალური უნარების განვითარება გუნდური თამაშების მეშვეობით.

ქართულ-ინგლისური ბილინგვური სწავლება ჩვენს ბაღში

ჩვენ არ ვიყენებთ ტრადიციულ, დამღლელ სასწავლო მეთოდებს. ბავშვები ახალ ენას ბუნებრივ გარემოში, თამაშის, ხატვის, სიმღერისა და ყოველდღიური აქტივობების დროს სწავლობენ. ენის ათვისება ხდება ზუსტად ისე, როგორც მშობლიური ენის შემთხვევაში — გარემოდან აღქმით, მოსმენითა და უშუალო კომუნიკაციით. ეს მიდგომა ბავშვებს ეხმარება თავისუფლად, ყოველგვარი ბარიერის გარეშე ისწავლონ ახალი ენა, განავითარონ კრეატიული და ლოგიკური აზროვნება მარტივად შეეგუონ მულტიკულტურულ გარემოს.

5. დღის განრიგი

თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის წლის დასაწყისში მუშავდება ინდივიდუალური დღის განრიგი, რომელიც სრულად პასუხობს ბავშვის საჭიროებებსა და განვითარების მიზნებს. დღის განრიგის მიზანია ბავშვისთვის კომფორტული, თანმიმდევრული და მრავალფეროვანი დღის სტრუქტურის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს როგორც დადეგმილ ასევე თავისუფალ საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებს.

ჩვენი დღის განრიგი სტრუქტურირებულია ისე, რომ ბავშვებმა დღის უდიდესი ნაწილი გაატარონ სუფთა ჰაერზე. ღია სივრცეში აქტივობები (თამაში, სპორტი, შემეცნება) არ შემოიფარგლება მხოლოდ სტანდარტული გასეირნებით; ამინდის შესაბამისად, კლასგარეშე და საგანმანათლებლო

აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკოლოგიურად სუფთა ეზოსა და მწვანე ზონებში მიმდინარეობს.

აღნიშნული განრიგი კონკრეტული ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ჯგუფის დახურულ ფეისბუქ გვერდზე, სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და ევროპული საბავშვო ბაღში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე.

6. ქცევის და დისციპლინის პოლიტიკა

პოზიტიური მოტივაციის ტექნიკა.

ევროპული ბაღი იყენებს ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის მეთოდებს. ქცევის პოზიტიური მართვის მეთოდები ემყარება ბავშვის ემოციური, სოციალური და ქცევითი განვითარების ხელშეწყობას. ეს მიდგომები მიზნად ისახავს ბავშვისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნას, სადაც ის შეძლებს საკუთარი ქცევის რეგულირებას და მიმდინარე პროცესში ჩართულობას. ქცევის პოზიტიური მართვის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ არასასურველი ქცევის შემცირებას, არამედ ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენციების ამაღლებას.

7. სპეციალური საჭიროებები და ინკლუზია

ევროპული ბაღი ეყრდნობა ინკლუზური განათლების პრინციპებს და ითვალისწინებს თითოეული ბავშვის განვითარების ტემპს, მათ უნიკალურ საჭიროებებს და მიზნებს. საგანმანათლებლო პროცესში ვითვალისწინებთ ბავშვის ინტერესებს, მიღწევებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალიზაციის პროცესი მოიაზრებს აქტივობების ადაპტირებას, თამაშის გამარტივებას ან

გართულებას და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებას. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება მშობლების, სპეციალისტებისა და შესაბამისი გარე მომსახურების ცენტრების ჩართულობით.

8. კომუნიკაცია და მშობლების ჩართულობა

მშობლებსა და აღმზრდელებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს:

- ელ-ფოსტა: სიახლეებისა და მნიშვნელოვანი შეტყობინებების მიწოდებისთვის.
- **ვებგვერდი: https://europeanschool.ge/istoria/**

მოხალისეობის შესაძლებლობები და მშობლების შეხვედრები.

ჩვენ ვაფასებთ მშობლების აქტიურ ჩართულობას და გთავაზობთ მოხალისეობის სხვადასხვა შესაძლებლობას ბაღის ღონისძიებებში, სასწავლო აქტივობებში და სპეციალურ პროექტებში. მოხალისეობა ხელს უწყობს ბავშვებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას და მშობლებთა ჩართულობას ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მშობლებთან რეგულარული შეხვედრები ტარდება სასწავლო პროცესის, ბავშვის პროგრესისა და ბაღის სიახლეების განსახილველად. შეხვედრების განრიგი წინასწარ გეცნობებათ ელ-ფოსტის ან დახურული ჯგუფების საშუალებით.

მოხარული ვიქნებით თქვენი ჩართულობით და თანამშრომლობით, რათა შევქმნათ საუკეთესო გარემო ჩვენი ბავშვებისთვის.

9. ბავშვთა კეთილდღეობა

“ევროპული ბაღის“ ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის გუნდის მიზანია ბავშვთა და მშობელთა ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის ტრანზიციისა და ადაპტაციის პერიოდში მხარდაჭერა. ჩვენი გუნდი პატივისცემით ეკიდება თითოეული ბავშვის გრძნობებს, ხელს უწყობს მის სოციალური, ემოციური და კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

გუნდი აერთიანებს: ფსიქოლოგთა გუნდს, ექიმს, ლოგოპედს და ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერს.

ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერი

ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერი ფსიქოლოგთა გუნდთან ერთად უზრუნველყოფს ბაღის მთელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით. ბაღის პერსონალისა და მშობლებისთვის შესაბამისი ტრენინგებისა და ვორქშოპების ორგანიზებას. ძალადობის ფაქტის გამოვლენას და ასეთი შემთხვევისთვის შემუშავებული პროცედურების დაცვას.

ფსიქოლოგთა გუნდი

ფსიქოლოგთა გუნდი ზრუნავს ბავშვთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. მიმდინარე პროცესი მოიცავს ბავშვებთან, როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ სამუშაოს, რაც განაპირობებს მათ ჯანსაღ გარემოში ყოფნასა და თვითგამოხატვის ხელშეწყობას. ასევე საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ შეხვედრებს მშობლებთან და მასწავლებლებთან.

ლოგოპედი

კვალიფიციური ლოგოპედი საჭიროების შემთხვევაში სათანადო დახმარებას უწევს ბავშვებს. ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები.
ჩვენი სკოლის ლოგოპედიური კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო დიდაქტიკური თუ ტექნიკური მასალით. სამუშაო პროცესში ჩართულია ისეთი ნოვატორული მეთოდები, როგორებიცაა: ლოგორითმიკა, რელაქსაციური და ფსიქოთერაპიული მეთოდები, ლოგოპედიური მასაჟი როგორც სამეტყველო აპარატის, ასევე თითების.

ექიმი/ექთანი

ქალაქის ხმაურისა და გამონაბოლქვისგან მოშორებით ყოფნა საგრძნობლად აუმჯობესებს ბავშვების იმუნურ სისტემას. სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი ყოფნა, აქტიური მოძრაობა და ბუნებრივ მასალებთან შეხება ამცირებს სტრესს, აუმჯობესებს ძილის ხარისხსა და ხელს უწყობს ბავშვის ჯანსაღ ფიზიკურ განვითარებას.

ევროპული ბაღის სამედიცინო პერსონალი მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებს ბავშების ფიზიკური აღზრდის სწავლებასაში. ზედამხედველობას უწევს სწორი კვების ორგანიზებასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სისტემატურად ატარებს სანიტარულ-ჰიგიენურ პროფილაქტიკურ სამუშაოებს. აკვირდება ბავშვების ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, ატარებს სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას ბაღის პერსონალთან.

10. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

ბავშვების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება უმთავრესი პრიორიტეტია. საბავშვო ბაღის ყველა წესი და პროცედურა შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო, სადაც ბავშვები თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ.

სამედიცინო შემოწმების მოთხოვნები

- რეგისტრაციისას აუცილებელია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა N 100) წარმოდგენა, სადაც ასევე აღნიშნული უნდა იყოს მისი იმუნიზაციის სტატუსი.
- თუ ბავშვს აქვს სპეციალური სამედიცინო საჭიროებები, მშობელმა წინასწარ უნდა აცნობოს ადმინისტრაციას და წარმოადგინოს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია.

ბავშვის ავადობის შემთხვევაში მოქმედი წესები

1. **დროული შეტყობინება**

ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში მშობელმა უნდა აცნობოს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალს. განსაკუთრებით, მაღალი გადამდებლობის რისკის მქონე დაავადებების შემთხვევაში, რათა მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები.

2. ბაღში მიღების პირობები

ბავშვს, რომელსაც აღენიშნება ცხელება, ღებინება, დიარეა, ინფექციური დაავადება ან სხვა გადამდები სიმპტომები, სავალდებულოა ბავშვის სახლში დარჩენა სრულ გამოჯანმრთელებამდე, რათა დაცული იყოს სხვა ბავშვების ჯანმრთელობაც.

3. ბაღში დაბრუნება

ბავშვი ბაღში დაბრუნებას შეძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სიმპტომები სრულად გაუვლის. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოთხოვნილ იქნას სამედიცინო ცნობა ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე.

4. ინფორმაციის გავრცელება

ინფექციური დაავადებების (გრიპი, ჩუტყვავილა, კონიუნქტივიტი და სხვ.) გამოვლენის შემთხვევაში, ბაღის ადმინისტრაცია დროულად აცნობებს სხვა მშობლებს, პირადი მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, რათა მიღებულ იქნას საჭირო პრევენციული ზომები.

5. ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

ჩვენთან ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი სამედიცინო ინვენტარით და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია.

შენობის სხვადასხვა ნაწილში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები, რომლებიც მხოლოდ პერსონალისთვისაა ხელმისაწვდომი.

6. გადაუდებელი შემთხვევების მართვის პროცედურები

საბავშვო ბაღის ყველა თანამშრომელი გადამზადებულია პირველადი დახმარების კუთხით და იცნობს გადაუდებელი შემთხვევების მართვის პროტოკოლს, რათა სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს რეაგირება.

ბაღში მუშაობს კვალიფიციური ექიმი, რომელიც ყოველდღიურად აკონტროლებს ბავშვების ჯანმრთელობას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

7. გადაუდებელი შემთხვევების მართვა

სერიოზული შემთხვევისას (მაგ., ძლიერი ალერგიული რეაქცია, მძიმე ტრავმა, მწვავე დაავადება), მშობლები დაუყოვნებლივ მიიღებენ შეტყობინებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

ყველა ინციდენტი რეგისტრირდება და ინახება შესაბამის დოკუმენტაციაში, რათა მოხდეს სიტუაციის ანალიზი და დამატებითი უსაფრთხოების ზომების მიღება.

ბავშვების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ჩვენი მთავარი საზრუნავია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული წესები და რეგულაციები.

11. კვება და კვების პოლიტიკა

ჩვენი ბაღი უზრუნველყოფს **სამჯერად, დაბალანსებულ კვებას**, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების საჭიროებებს. მენიუ შედგენილია ენერგეტიკული ღირებულებებისა და აუცილებელი საკვები ნივთიერებების გათვალისწინებით.

სამზარეულოს ყველა პროცესი რეგულირდება **HACCP სისტემით**, რომელიც წარმოადგენს გლობალურად აღიარებულ საკვების უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს – ნედლეულის შეძენიდან მზა კერძების მიწოდებამდე.

ვიყენებთ მხოლოდ მაღალი ხარისხის ნედლეულს, რომელიც მოწოდებულია სერტიფიცირებული და სანდო მომწოდებლების მიერ, ხოლო ჩვენი კვების სერვისი ინდივიდუალურ დიეტურ მოთხოვნებზეა მორგებული.

თუ ბავშვს აქვს კვებითი ალერგია, მშობელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ადმინისტრაციას. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ვზრუნავთ ალერგიის მართვაზე უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად.

საკვებისა და სასმელის ჰიგიენისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ბაღში აკრძალულია ნებისმიერი გარე საკვები და სასმელი პროდუქტების შემოტანა. ეს რეგულაცია უზრუნველყოფს ბავშვებისთვის უსაფრთხო და კონტროლირებად კვებით გარემოს, ხელს უწყობს ალერგიული რეაქციების პრევენციას და ზრუნავს მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვაზე.

ყოველი კვირის ბოლოს განახლებული მენიუ განთავსებულია ვებ გვერდზე და ბაღის საინფორმაციო დაფაზე.

	ორშაბათი/Monday	სამშაბათი/Tuesday	ოთხშაბათი/Wednesday	ხუთშაბათი/Thursday	პარასკევი/Friday
საუზმე Breakfast	მოხარშული კვერცხი ხიზილალა კარაქიანი პური ხილის ჩაი ხილი **Egg (boiled)** **Red caviar** **Bread and butter** **Fruit tea** **Fruits**	ფაფა (შვრიის) კარაქიანი პური, ყველი ხილის ჩაი და კაკაო ხილი **Porridge (oat flakes)** **Bread and butter** **Cheese** **Fruit tea and hot chocolate** **Fruits**	ფაფა (მანანის) კარაქიანი პური, ყველი ხილის ჩაი და კაკაო ხილი **Porridge (semolina)** **Bread and butter** **Cheese** **Fruit tea and hot chocolate** **Fruits**	ფაფა (ბრინჯის) კარაქიანი პური, ყველი ხილის ჩაი და კაკაო ხილი **Porridge (rice)** **Bread and butter** **Cheese** **Fruit tea and hot chocolate** **Fruits**	ფაფა (შვრიის) კარაქიანი პური, ყველი ხილის ჩაი და კაკაო ხილი **Porridge (oat flakes)** **Bread and butter** **Cheese** **Fruit tea and hot chocolate** **Fruits**
სადილი Dinner	ბოსტნეულის წვნიანი ოსპით ჩამუშული ხორცი მაკარონის გარნირი ყვავილოვანი კომბოსტოს და ბროკოლოს სალათი ტყემლის სოუსი პური წყალი **Vegetable soup with lentil** **Meet Stew** **Pasta garnish** **Cauliflower and broccoli salad** **Plum sauce** **Bread** **Water**	ქათმის ბულიონი ორცხობილით ქათამი მოხარშული ბრინჯის გარნირი სტაფილოს და ბულგარულის ჩხირები ტყემლის სოუსი პური წყალი **Chicken soup with crouton** **Chicken (boiled)** **Rice garnish** **Bell pepper and Carrot sticks** **Plum sauce** **Bread** **Water**	ბორში არაჟნით ქაბაბი ვერმიშელის გარნირი მწვანე სალათი ტყემლის სოუსი პური წყალი **Borscht with sour cream** **Kebab** **Vermicelli garnish** **Green salad** **Plum sauce** **Bread** **Water**	ბოსტნეულის წვნიანი "მინესტრონე" თევზის კოტლეტი ბულგურის გარნირი კიტრის და პომიდვრის სალათი ტყემლის სოუსი პური წყალი **Vegetable soup** **"Minestrone„** **Fish chops** **Bulgur garnish** **Cucumber and tomato salad** **Plum sauce** **Bread** **Water**	მაწვნის სუპი ქათმის კოტლეტი სპაგეტის გარნირი ბერძნული სალათი ტყემლის სოუსი პური წყალი **Matsoni soup** **Chicken cutlet** **Spaghetti garnish** **Greek salad** **Plum sauce** **Bread** **Water**
სამზარეო Afternoon snack	ორცხობილა ხაჭო, არაჟანი ხილის ჩაი ხილი **Cookies** **Sour cream and cottage cheese** **Fruit tea** **Fruits**	ხაჭაპური ხილის ჩაი იოგურტი ხილი **Khachapuri** **Fruit tea** **Yoghurt** **Fruits**	ფუნთუშა ხილის ჩაი მაწონი ხილი **Buns** **Fruit tea** **Yoghurt "Matsoni"** **Fruits**	ზებრა ხილის ჩაი მაწონი ხილი **Zebra** **Fruit tea** **Yoghurt "Matsoni"** **Fruits**	კრეპები ჯემით ხილის ჩაი მაწონი ხილი **Crepes with jam** **Fruit tea** **Yoghurt "Matsoni"** **Fruits**

12. საგანგებო სიტუაციების პროცედურები



ჩვენი ბაღი უზრუნველყოფს უსაფრთხო და ორგანიზებულ რეაგირებას საგანგებო სიტუაციების დროს, რათა დაცული იყოს ბავშვების და თანამშროლების უსაფრთხოება.

საბავშვო ბაღში მოქმედებს დეტალური საგანგებო სიტუაციების პროცედურები.

ძირითადი პროცედურები მოიცავს:

- მიწისძვრისთვის მზადყოფნის წვრთნა – უსაფრთხო პოზიციის მიღება და დაცვა;
- ევაკუაცია – ხანძრის, აფეთქების ან სხვა საფრთხის შემთხვევაში მშვიდი და სწრაფი გამოსვლა შენობიდან;
- საპირისპირო ევაკუაცია – სკოლაში სწრაფად დაბრუნება, როდესაც გარეთ საფრთხეა;
- ლოქდაუნი – შენობის შიგნით არსებული საფრთხის დროს უსაფრთხო თავშესაფრის ძიება და გარე კარების ჩაკეტვა;
- ბომბის საფრთხე – ადმინისტრაციისა და საგანგებო სამსახურების მიერ განსაზღვრული მოქმედებები.

საერთო პრინციპები:

- ➔ საგანგებო სიტუაციაში პრიორიტეტია ბავშვების უსაფრთხო ევაკუაცია და მათი დაცვის უზრუნველყოფა.
- ➔ აუცილებელია, რომ მშობლებმა რეგისტრაციის დროს მოგვაწოდოს აქტიური საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა) და ცვლილების შემთხვევაში განაახლონ ის.
- ➔ საბავშვო ბაღის პერსონალი გადამზადებულია საგანგებო სიტუაციების მართვაში და იცის, როგორ იმოქმედოს კრიტიკულ ვითარებაში.
- ➔ საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაირთვება განგაშის სისტემა და განხორციელდება ბავშვების ორგანიზებული ევაკუაცია დადგენილი მარშრუტებით უსაფრთხო ადგილას.
- ➔ პერსონალი მშობლების მოსვლამდე იზრუნებს ბავშვების უსაფრთხოებაზე.
- ➔ მშობლები მიიღებენ დროულ შეტყობინებას საგანგებო სიტუაციის შესახებ, შესაბამისი მითითებით.
- ➔ ბავშვები რეგულარულად მონაწილეობენ სხვადასვა ევაკუაციის სიმულაციებში, რათა იცოდნენ, როგორ უნდა იმოქმედონ საგანგებო სიტუაციაში.

წვრთნები:

ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ უსაფრთხო გარემო და ბავშვებს ვასწავლოთ, როგორ მოიქცნენ საგანგებო სიტუაციებში. ბაღში ტარდება წვრთნები, რომელთა დროსაც ბავშვები ეცნობიან უსაფრთხოების წესებს.

- მშობლები წინასწარ მიიღებენ ინფორმაციას დაგეგმილი წვრთნის შესახებ.
- წვრთნის დროს, გთხოვთ, თავი შეიკავოთ ბაღში ვიზიტისგან და არ ეცადოთ პერსონალთან დაკავშირებას.

13. ჩაცმულობის კოდექსი და პირადი ნივთები

კომფორტული და უსაფრთხო ტანსაცმელი

ბავშვის ტანსაცმელი უნდა იყოს თავისუფალი და მოსახერხებელი მოძრაობისთვის, რაც საშუალებას მისცემს ითამაშოს, იმოძრაოს და ჩაერთოს აქტივობებში.

- რეკომენდებულია სპორტული ან ყოველდღიური ტანსაცმელი.
- არ არის ნებადართული ჩამოკიდებული თასმები, გრძელი ზონარები ან სხვა ელემენტები, რომლებიც თამაშის დროს შესაძლოა საფრთხის შემცველი გახდეს.
- ფეხსაცმელი უნდა იყოს დახურული, კომფორტული და სწორი ძირით, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის უსაფრთხო გადაადგილებას.
- ტანსაცმელი უნდა იყოს სუფთა და მოვლილი.

თვითმომსახურების მხარდაჭერა

ბავშვების ტანსაცმელი უნდა იყოს მარტივად ჩასაცმელი და გასახდელი (მაგ., ელვა ან მარტივი შესაკრავები), რაც უწყობს ხელს მათი დამოუკიდებლობის განვითარებას.

სათადარიგო ტანსაცმელი

ბავშვისთვის ბაღში სათადარიგო ტანსაცმლის შერჩევა მნიშვნელოვანია, რათა ის კომფორტულად და სუფთად იყოს მთელი დღის განმავლობაში. გთავაზობთ საჭირო ნივთების ჩამონათვალს:

ძირითადი გამოსაცვლელი ტანსაცმელი:

- **ქვედა საცვლები** (1-2 წყვილი)
- **წინდები** (1-2 წყვილი)
- **მაისური** (1-2 ცალი)
- **შარვალი/ შორტი** (სეზონის მიხედვით, 1-2 ცალი)
- **სვიტერი/ჰუდი** (გააჩნია ამინდს)

დამატებითი ტანსაცმელი (ამინდის და საჭიროების მიხედვით):

- **გრძელმკლავიანი მაისური** (გრილი სეზონისთვის)
- **ჟაკეტი ან თბილი მოსასხამი** (ცივ ამინდში)
- **თხელი პანამა ან კეპი** (ზაფხულში მზისგან დასაცავად)

ჰიგიენის ნივთები:

- **წყლის პირადი ბოთლი**
- **ძილის შემთხვევაში-პიჟამა**

დამატებითი რეკომენტდაციები:

- გამოსაცვლელი ტანსაცმელი მოათავსეთ ჩანთაში, რათა აღმზრდელებმა მარტივად იცნონ ბავშვის ნივთები.
- ამინდისა და ბაღის მოთხოვნების გათვალისწინებით პერიოდულად განაახლეთ ტანსაცმლის ნაკრები.

- ვინაიდან ბავშვები ხშირად მუშაობენ მიწასთან და მცენარეებთან, გთხოვთ, სათადარიგო ტანსაცმელში აუცილებლად გაითვალისწინოთ ისეთი სამოსი (და ფეხსაცმელი), რომლის დასვრაც მცენარეების მოვლის ან ეზოს აქტიური თამაშების დროს პრობლემას არ შექმნის.

პირადი ნივთები

ადაპტაციის პერიოდში ბავშვებს შეუძლიათ თან ჰქონდეთ საყვარელი ნივთი (მაგ., რბილი სათამაშო), რაც კომფორტის შეგრძნებას შეუწყობს ხელს. ნივთები უნდა იყოს მარტივად შესანარჩუნებელი და უსაფრთხო.

შეზღუდვები

✕არ არის რეკომენდებული ძვირფასი ან დიდი სათამაშოების მოტანა.

✕აკრძალულია ისეთი ნივთები, რომლებიც შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს (მაგ., პატარა ნაწილებიანი სათამაშოები, ბასრი ან მძიმე ნივთები).

სპეციალური შემთხვევები

თუ სასწავლო პროცესისთვის საჭიროა კონკრეტული პირადი ნივთი, პედაგოგი მშობლებს წინასწარ აცნობებს.

ეს რეკომენდაციები უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას, კომფორტს და დამოუკიდებლობის განვითარებას საბავშვო ბაღში.

14. ბავშვის მოყვანისა და წაყვანის პროცედურები

- ბავშვის მოყვანისა და წაყვანისას, მშობელი ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ უნდა დაუკავშირდეს ჯგუფის პერსონალს (აღმზრდელს ან ასისტენტს) ტელეფონით.
- ჯგუფის პერსონალი უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო შემოყვანასა და გაყვანას დაცვის პუნქტის გავლით.
- ბავშვი ბაღის ტერიტორიაზე ვერ შევა და ვერ დატოვებს მას ზედამხედველობის გარეშე.
- მშობლებს ან უფლებამოსილ პირებს კატეგორიულად ეკრძალებათ ბაღის წარმომადგენლებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ბავშვის მარტო დატოვება ბაღის შესასვლელთან ან ეზოში.

უსაფრთხოების ზომები

წინასწარი სია: ბაღის მიერ მიწოდებულ კითხვარის შევსებისას მშობელმა უნდა წარადგინოს იმ პირების სია, ვისაც აქვს უფლება ბავშვის წაყვანის.

● იდენტიფიკაციის დადასტურება: უფლებამოსილმა პირმა წაყვანისას უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

● წინასწარი შეტყობინება: თუ ბავშვის წამყვანი პირი შეიცვლება, მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა წინასწარ უნდა აცნობოს ჯგუფის პერსონალს.

● მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ვალდებულება: მუდმივად უზრუნველყონ საბავშვო ბაღში მათი საკონტაქტო მონაცემების განახლება.

ამ წესების და პროცედურების დაცვა აუცილებელია ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

15. დასკვნითი სიტყვა

ძვირფასო მშობლებო,

გმადლობთ, რომ გახდით ჩვენი დიდი ოჯახის ნაწილი!

ჩვენი კამპუსი მდებარეობს მდებარეობს ქალაქგარეთ, ეკოლოგიურად სუფთა და მწვანე ზონაში. აქ ბავშვებს ხვდებათ უსაფრთხო, ჰარმონიული სივრცე, სადაც დღის უდიდეს ნაწილს სუფთა ჰაერზე გაატარებენ.

მიგვაჩნია, რომ ეს „მწვანე ყოველდღიურობა“ ბავშვის ჰოლისტური განვითარების საუკეთესო საწინდარია. ეკოლოგიურად სუფთა გარემოში აქტივობები პირველივე დღიდან აძლიერებს იმუნიტეტსა და ფიზიკურ გამძლეობას, ხოლო მცენარეებზე ზრუნვა ავითარებს კრიტიკულ აზროვნებასა და ეკო-ცნობიერებას, რაც მათ თავისუფალ და პასუხისმგებლიან გლობალურ მოქალაქეებად ჩამოაყალიბებს.

ჩვენთვის საამაყოა, რომ თქვენი შვილების აღზრდის პროცესში მიგვიღეთ თანამონაწილედ.

სიყვარულით და გულწრფელი მადლიერებით,

ევროპული საბავშვო ბაღის გუნდი

ბილისი -კოჯრის ქუჩა 2

kindergarten@europeanschool.ge

(+995 32) 239 59 64

WWW.EUROPEANSCHOOL.GE